

ლადო გურგენიძეს ახალ მთავრობას უქმნიან?

გაზეთი “კვირსი ქრონიკა” – 3-9 ნოემბერი, № 44, 2008

ახალი პრემიერმინისტრის პირობებში შეიცვლება თუ არა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა? რა ფუნქციას შეასრულებს საინვესტიციო-საფინანსო კომისია, რომელსაც ყოფილი პრემიერი გურგენიძე უხელმძღვანელებს? ახალი მთავრობა როგორ შეებრძოლება ინფლაციას? რეალურად ვინ მართავს საქართველოს ეკონომიკას და როგორ უნდა დაკომპლექტდეს ქვეყნის ეკონომიკური გუნდი, რომ რეალურად რამე შეიცვალოს? ამის შესახებ „ქრონიკას“ ეკონომიკური ექსპერტი, ლადო პაპავა ესაუბრება:

– ბატონო ლადო, საქართველოს პრაქტიკულად ჰყავს ახალი პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ეკონომიკურ გუნდში, თუ არ ჩავთვლით გურგენიძისათვის შესაქმნელ ახალ სამსახურს, არაფერი შეცვლილა. როგორ შეაფასებთ ამ ყველაფერს?

– მოულოდნელი არც არაფერი არ ყოფილა. მთავროსთან მიმართებაში, როგორც პრეზიდენტის, ასევე პარლამენტის სტილი აბსოლუტურად უცვლელია. ცოტა უფრო მეტი კითხვა იბადება გურგენიძის ახალ შესაძლო სამსახურთან დაკავშირებით. საინვესტიციო-საფინანსო კომისიას თუ ექნება გარკვეული უფლებამოსილება, ანუ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო იქნება, მაშინ ბუნებრივია გვეყოლება კიდევ ერთი მთავრობა. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია, რომ საქართველოს ისედაც რამდენიმე მთავრობა ჰყავს. როგორც გახმოვანდა, ეს კომისია, რომელსაც გურგენიძემ უნდა უხელმძღვანელოს, თავს მოუყრის ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს, პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტებს და ეროვნულ ბანკს, და თუ მას ექნება ამ ორგანოებზე ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მაშინ, რა თქმა უნდა, ეს იქნება მთავრობა და ამ დროს რა უნდა აკეთოს ახალმა პრემიერმა, უბრალოდ გაუგებარია.

– საინვესტიციო-საფინანსო კომისია რა ფუნქციებს შეასრულებს?

– პირველივე ტელეინტერვიუში, როდესაც ბატონ მგალობლიშვილს ჰკითხეს ამ კომისიის შესახებ, მან თქვა, რომ ის სიამოვნებით იქნება ამ

კომისიის თანათამაჯდომარე. ეს საერთოდ გაუგებარია. გამოდის, რომ მთავრობაც აღიარებს, რომ თანაპრემიერ-მინისტრები გვეყოლება! რაც შეეხება კიდევ ერთ კომენტარს, რომელიც გააკეთა მიხეილ მაჭავარიანმა, ნათქვამი იყო, რომ ეს კომისია მხოლოდ და მხოლოდ ექსპერტებისაგან დაკომპლექტდება და სათათბირო ორგანო იქნებაო. მაშინ იბადება კითხვა – ეს სათათბირო ორგანო ვისთან იქნება? ზოდატაობა სათათბირო ორგანო არანაირი უფლების მქონე არც არავის სჭირდება! სათათბირო ორგანო ყოველთვის უნდა არსებობდეს გადაწყვეტილების მიმღებ პირთან. სხვა შემთხვევაში მას არავითარი ფუნქციის შესრულება არ შეეძლება, გარდა იმისა, რომ შეიკრიბოს ხალხი და “კრება დარჩეს მხიარული”, არავითარი გადაწყვეტილება არ იქნეს მიღებული. თუ ეს სათათბირო ორგანო იქნება გადაწყვეტილების მიმღებ პირთან და ეს არის ისევე ღაღად გურგენიძე, მაშინ ის ისევე რატომ აღარ არის პრემიერ-მინისტრი?

ყოველ შემთხვევაში, გურგენიძე როცა პრემიერ-მინისტრი იყო და როცა მას შეეძლო შეექმნა სათათბირო ორგანო პრემიერ-მინისტრთან, მაშინ არ ჰქონია ასეთი სურვილი, რადგანაც მისი ძირითადი სათათბირო ორგანო მისივე კანცელარიის უფროსი იყო. ამიტომ, როგორც იტყვიან სიტუაცია კიდევ უფრო მეტად ჩაიხლართა სამთავრობო დერეფნებში. მე შევახსენებ ჩვენს მკითხველს, რომ ერთი, ანუ ფორმალური მთავრობა გვყავს ის, რომელსაც სათავეში უნდა ჩაუდგეს ბატონი მგალობლიშვილი, რომლის ხელმძღვანელი ამ წლების განმავლობაში რეალურად რჩებოდა ბენდუქიძე და ალბათ მგალობლიშვილი ვერ შეცვლის და არც შეცვლის მას. ამავდროულად ამ მთავრობას უნდა შეეზიაროს კიდევ ერთი, რომელსაც საინვესტიციო საფინანსო კომისია დაერქმევა და მას სათავეში უნდა ჩაუდგეს გურგენიძე. ისევე რჩება ანტიკრიზისული საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს გია თორთლაძე და კიდევ ერთი მთავრობა, რომელიც საცოდავი და გაუბედურებული ხალხის საცხოვრებელ სახლებს აშენებს შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის ხელმძღვანელობით.

აი, ასეთ კურიოზულ სიტუაციაში ვიმყოფებით ახლა და სანამდე მიგვიყვანს ეს, ნამდვილად არ ვიცი... ერთმა ჩემმა კოლორიტულმა მეგობარმა იუმორნარევი სინანულით მითხრა “ბასტი-ბენდუ” გრძელდებაო!

– ახალი პრემიერობის კანდიდატმა თქვა, რომ მიუხედავად მსოფლიოში არსებული ფინანსური კრიზისისა საქართველომ მაინც შეინარჩუნა მყარი

პოზიცია ეკონომიკური და საინვესტიციო კუთხით. რამდენად დაეთანხმებოდით მის ამ განცხადებას?

– ჯერ ვთქვათ, საერთოდ ღირს თუ არა იმის კომენტირება, რასაც ლაპარაკობს ახალი პრემიერ-მინისტრი. სამწუხაროდ უნდა გითხრათ, რომ პრაქტიკულად ახალი პრემიერი არ ლაპარაკობს ისეთ რამეს, რასაც არ ლაპარაკობს ზოგადად უმრავლესობა, ანუ, ახალი პრემიერ-მინისტრი ჯერ-ჯერობით ქვეყრის ფუნქციას ასრულებს იმ თვალსაზრისით, რომ მთელი მისი ფრაზეოლოგია ერთი-ერთზეა უმრავლესობის გამონათქვამებთან. ეს არის ის თვალშისაცემი, რითაც მგალობლიშვილი განსხვავდება გურგენიძისაგან. მე მგონი მკითხველს კარგადაა ცნობილი ჩემი გურგენიძისადმი საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გურგენიძეს არ უნდა დავეუკარგოთ ის, რომ მას პრობლემების მიმართ არა მარტო საკუთარი ხედვა, არამედ საკუთარი ფრაზეოლოგიაც ჰქონდა. ის ყოველთვის არ იყენებდა უმრავლესობის ფრაზებს და, ხანდახან პირიქით, უმრავლესობა საუბრობდა მისი ტერმინებით. რაც შეეხება ბატონ მგალობლიშვილს, იმის გათვალისწინებით, რომ ის საერთოდ არ არის გაცნობიერებული იმ პრობლემებში, რაც ყველაზე მთავარია თანამედროვე ეკონომიკაში მსოფლიოში მიმდინარე გლობალური კრიზისის ფონზე, თანაც იმის გათვალისწინებითაც, რომ მას შესაბამისი გამოცდილებაც არ აქვს, იძულებულია გაიმეოროს ის ფრაზები, რასაც უმრავლესობა თითქმის უწყვეტ რეჟიმში გაიძახის საპრეზიდენტო არჩევნებიდან მოყოლებული. აქედან გამომდინარე, ჯერ-ჯერობით მისი ნათქვამების კომენტირებას დიდად აზრი არც კი აქვს.

– გამოდის, რომ უარესობისკენ მივიღვართ: ნოღაიდელი – გურგენიძე – მგალობლიშვილი...

– ფაქტია, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ პრემიერებში აშკარად დაღმავალი გზა გვაქვს. ყოველი შემდეგი წინაზე სუსტია. შეძლებს თუ არა მგალობლიშვილი ამ ტენდენციის შეცვლას, ნამდვილად არ ვიცი. გამიხარდება თუ შეცვლის, მაგრამ ამ გადასახედიდან ამის დიდი იმედი არ მაქვს. ყველა ამბობს, რომ კარგი ახალგაზრდა კაციაო, მაგრამ, ის, რომ ის კარგი აღამიანია სულაც არ ნიშნავს, რომ ეს საკმარისი იყოს მას ქვეყანა ჩააბარო.

– თითქოს ახალმა პრემიერმა დაიწყო ახალი ეკონომიკური პროექტების განხორციელება, რაც გამოიხატებოდა საპენსიო პაკეტის 100 აშშ დოლარამდე გაზრდაზე, საშემოსავლო გადასახადის 15%-მდე შემცირებაზე, დივიდენდების

გადასახადის განულებაზე... ამაზე საუბარი გაცილებით ადრე დაიწყო, მაგრამ ახალი პრემიერის მოსვლასთან დაკავშირებით რატომ დააჩქარეს ეს პროექტები?

– არაფერი არ დაჩქარებულა. ეს არის უბრალოდ პიარი და ამას ხელისუფლება დიდი ხანია ამბობდა. ის, რომ პენსია 2009 წელს უნდა გამხდარიყო 100 დოლარი, ამას მიხეილ სააკაშვილი ამბობდა თავის წინასაარცვენო კამპანიაში და ეს იყო ნაცმოძრაობის მოწოდებაც. უფრო მეტიც, ისინი თავიდან ამბობდნენ, რომ პენსია უნდა გამხდარიყო 100 დოლარი და მერე მოხდა სიტყვების მანიპულირება და აღმოჩნდა, რომ პენსია კი არა, თურმე საპენსიო პაკეტი უნდა გახდეს 100 დოლარი. ეს აშკარა ეშმაკობაა: საპენსიო პაკეტი იქნება 100 დოლარი, და არა თავად პენსია. მავანთათვის იქნება პენსიებზე რაღაც დანამატები, შეღავათები, რომელმაც უნდა მიაღწიოს 100 დოლარს. ეს მოიფიქრეს ჯერ კიდევ გურგენიძის დროს, ისევე, როგორც გადასახადების დაწვევაც 5 წლის განმავლობაში. ასევე გურგენიძის იდეა იყო დივიდენდებზე გადასახადების განულება. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ მგალობლიშვილს ახალი არაფერი არ უთქვია.

– თქვენი აზრით, ეს ცვლილებები, ანუ გადასახადების დაწვევა და სოციალური პაკეტის 100 დოლარამდე გაზრდა, ხომ შეუწყობს ხელს ინფლაციური პროცესების განვითარებას?

– მგალობლიშვილს კოჭებშივე ეტყობა, რომ აზრზე არ უნდა იყოს ინფლაციური პროცესები როგორ იმართება. ამიტომ, მოდი რეალურად შევხედოთ სიტუაციას – საქართველოს მთავრობაში ყოველთვის იყო “რუხი კარდინალი”, რომელიც ყოველთვის იყო ამ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი გამწვევი ძალა, მთავარი იდეოლოგი და შემოქმედი. სანამ დავასახელებ ამ ადამიანს, ალბათ ყველა მიხვდება რომ ბენდუქიძეზე ვსაუბრობ. როგორც ჩანს, არც აწი შეიცვლება არაფერი. ბატონი კახა დარჩება გამწვევ ძალად და მთავრობის მთავარ იდეოლოგად. თუ გურგენიძეს, რომელსაც საკმაოდ ბევრტი იდეები ჰქონდა და მაინც სჭირდებოდა ბენდუქიძე, როგორც იდეების გენერატორი, წარმოიდგინეთ მგალობლიშვილს, რომელიც ჯერ-ჯერობით ქვევრის როლს ასრულებს, ის ხომ უფრო მეტად დასჭირდება? მით უმეტეს, რომ ახალს ჯერ ვერაფერს ქმნის, არც არავის იცნობს, შესასწავლი აქვს ყველაფერი და ასეთ პირობებში ბენდუქიძისნაერი კადრი მისთვის მონაპოვარია. არა მგონია, რომ მას მგალობლიშვილი ხელიდან გაუშვებს.

– პრემიერმა ისაუბრა მთავრობის ეტაპობრივ ცვლილებებზე. ესე იგი, თქვენი აზრით, იგი არ შეცვლის ეკონომიკურ გუნდს – გილაურს, შარაშიძეს, ბენდუქიძეს, გურგენიძეს...

– ის ვერაფერს შეცვლის. მაგალობლიშვილი ჯერ პრემიერად არც კი იყო დამტკიცებული პარლამენტის მიერ, კურიზოული რამ დაემართა. როდესაც ახალი მთავრობა პარლამენტსაც კი არ ჰყავდა ჯერ დამტკიცებული, უკვე ახალი შეტყობინება გვამცნო პრეზიდენტმა, რომ, თურმე ახალი კოალიციური მთავრობა უნდა შეიქმნას. აქ რამდენიმე ნონსენსია. თუ კოალიციური მთავრობა უნდოდა, მაშინ ახლავე გაეკეთებინა ეს. თუ არა და, ჯერ დამტკიცებინა ეს მთავრობა პარლამენტში, მით უმეტეს, რომ ისეთი პარლამენტი გვყავს, ამ მთავრობას კი არა, არაფერს არ გაუჭირდება დამტკიცება. გარდა ამისა, კოალიციური მთავრობა თავისთავად არის უაზრობა, თუ მას არა აქვს ობიექტური პოლიტიკური საფუძველი. როდის იქმნება კოალიციური მთავრობა? როდესაც არის გარკვეული პოლიტიკური კრიზისი და როდესაც არის რამდენიმე წამყვანი პოლიტიკური ძალა, რომლებიც ერთმანეთს ბლოკავენ გადაწყვეტილების მიღებაში. სწორედ იმიტომ, რომ გადაწყვეტილებები არ დაიბლოკოს, ამ ძალთა წარმომადგენლებიდან იქმნება კოალიციური მთავრობა. როცა პრეზიდენტი პარლამენტში ხმების 90%-ზე მეტს აკონტროლებს, ვისთან უნდა შევიდეს კოალიციაში? ეს არის ისეთი ლამაზი ფრაზა, რომელიც არც სააკაშვილს არ სჭირდება, მაგრამ უნდა დემოკრატიულად ჩაეთვალოს, თორემ, ვისთან უნდა შევიდეს კოალიციაში, ისევ უმრავლესობის წევრებთან? თუ საპარლამენტო უმცირესობასთან, რომელიც თავადაც იციან როგორი ოპოზიცია არის. მათ, რომ თანამდებობები მიეცათ პარლამენტში არის გამოწვეული არა იმით, რომ ისინი მართლა რეალურ ძალას წარმოადგენენ, არამედ ეს კარგია იმის სათქმელად, რომ საქართველოში ოპოზიციას ანგარიშს უწევნო. ჩვენ ხომ ძალიან კარგად ვიცით, რომ რასაც ოპოზიცია ჰქვია, ის პარლამენტში არ არის.

– იქნებ გვითხრათ, ვინ უნდა ჩაუდგეს სათავეში ქვეყნის ეკონომიკას და საერთოდ, ვისით უნდა დაკომპლექტდეს ქვეყნის ეკონომიკური გუნდი, რათა ქვეყანაში მართლაც რამე შეიცვალოს?

– ამას ვერ დაგისახელებთ, რადგან საქმე ასე მარტივად არ არის. მთავარი არის არა ის, თუ ვინ უნდა მოვიდეს, არამედ მთავარია ის, იცვლება თუ არა ქვეყანაში ქვეყნის მართვის იდეოლოგია. ის ქვეყნის მართვის

იდეოლოგია თუ რჩება, რაც ჩვენ გვაქვს, მაშინ არანაირი მნიშვნელობა აქვს ვინ მოვა. ჩვენს პრეზიდენტს ჰყავს იმ იდეოლოგიის გუნდი, რა იდეოლოგიაც მას აქვს...

დიმიტრი ტიკარაძე